განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

18/09/2026

MES 0 26 0001267786

ბრძანება

თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 13 ნოემბრის №1461577 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინიტროს უმაღლესი განათლების დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 18 სექტემბრის №1261332 სამსახურებრივი ბარათისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 26 აგვისტოს №1099539 წერილის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 13 ნოემბრის №1461577 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) **მარიამ ქებურია** - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინიტროს უმაღლესი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;“.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრი
გივი მიქანაძე